საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 168

თბილისი „10" 09 2018 წ.

მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,მ" ქვეპუნქტების, ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანებით დამტკიცებული ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების მე-7 მუხლის 2^1 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 07 სექტემბრის N1098984 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მე-12 კლასში შემავალი საგნის/საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ცენტრალიზებულად, ელექტრონული ფორმით, ჩასატარებელი გამოცდების განრიგი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;

2. დაევალოს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს ამ ბრძანების გაცნობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის;

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

მე-12 კლასში შემავალი საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დასაძლევი გამოცდების ჩატარების განრიგი

საგანი	თარიღი	სესია
ქართული ენა და ლიტერატურა	11 სექტემბერი, 2018 წელი	I სესია - 10:00 საათი
მათემატიკა	12 სექტემბერი, 2018 წელი	I სესია - 10:00 საათი
ისტორია	13 სექტემბერი, 2018 წელი	I სესია - 10:00 საათი
სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	14 სექტემბერი, 2018 წელი	I სესია - 10:00 საათი
ინგლისური ენა	15 სექტემბერი, 2018 წელი	I სესია - 10:00 საათი